ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 295

"19" ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში მდებარე, №01.10.17.023.001.01.01.033, №01.10.17.023.001.01.01.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/ნ 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

ა) „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში მდებარე, №01.10.17.023.001.01.01.033, №01.10.17.023.001.01.01.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/ნ 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 21 მაისის №25.815.931 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა №36-ში მდებარე, №01.10.17.023.001.01.01.033, №01.10.17.023.001.01.01.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის №ბ61.01221687 ბრძანებისა და 2023 წლის 28 მარტის №ბ61.01230875 ბრძანების საფუძველზე გაფორმებული, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებების ვადის გასვლის დღიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 21 მაისის №25.815.931 განკარგულების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" (ს/კ. 405185400) მიერ ფართის ფაქტობრივად

სარგებლობისთვის შესაბამისი სარგებლობის საფასურის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე